სავალდებულოდ რას უნდა შეიცავდეს სააგენტოში წარმოსადგენი ინვოისი

1. **ადგილობრივი სანერგე მეურნეობების მიერ გაცემული ნერგების ინვოისის მონაცემები:**

- ინვოისის გამოწერის თარიღი და ნომერი;
- სანერგე მეურნეობის სახელი, გვარი/დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- სანერგე მეურნეობის საბანკო რეკვიზიტები;
- პოტენციური ბენეფიციარის სახელი, გვარი/დასახელება და პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი (იმ შემთხვევაში, თუ ინვოისი გამოწერილი იქნება მინდობილ პირზე, მითითებული უნდა იყოს მინდობილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ასევე ვისი მინდობილი პირია);
- ნერგის მახასიათებლები (სასოფლო-სამეურნეო კულტურის დასახელების ნერგი)
- ნერგების რაოდენობა, თითოეული ნერგის ფასი, ჯამურად ნერგების ღირებულება, ვალუტა;
- მიწოდების ვადა ((დან... მდე) (მითითებული უნდა იყოს აგროვადების შესაბამისად:
  - ყველა კულტურაზე გარდა ვენახის „მწვანე ნერგით“ გაშენების შემთხვევაში: დასავლეთ საქართველოში 2020 წლის 1 ნოემბრიდან, ხოლო აღმოსავლეთში - 2020 წლის 10 ნოემბრიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით;
  - ვენახის „მწვანე ნერგით“ გაშენების შემთხვევაში 2021 წლის 1 მაისიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით;
  - განსხვავებული აგროვადების შეთანხმება განხორციელდება ინდივიდუალურად სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან);
- გადახდის პირობები (პროგრამით გათვალისწინებული თანამონაწილეობის შესაბამისად).

ინვოისი წარმოდგენილი უნდა იყოს სააგენტოს ვებ-გვერდზე მითითებული სანერგე მეურნეობების სიიდან.

ინვოისი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინვოისი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორიგინალი ან ასლი.

2. **უცხო ქვეყნის სანერგე მეურნეობების მიერ გაცემული ნერგების ინვოისის მონაცემები:**

- ინვოისის გამოწერის თარიღი და ნომერი;
- სანერგე მეურნეობის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- სანერგე მეურნეობის საბანკო რეკვიზიტები;
- პოტენციური ბენეფიციარის სახელი, გვარი/დასახელება და პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი (იმ შემთხვევაში, თუ ინვოისი გამოწერილი იქნება მინდობილ პირზე, მითითებული უნდა იყოს მინდობილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ასევე ვისი მინდობილი პირია);
- ნერგის მახასიათებლები (სასოფლო-სამეურნეო კულტურის დასახელების ნერგი);
- ნერგების რაოდენობა, თითოეული ნერგის ფასი, ჯამურად ნერგების ღირებულება, ვალუტა;
- მიწოდების ვადა ((დან... მდე) (მითითებული უნდა იყოს აგროვადების შესაბამისად:

- ყველა კულტურაზე გარდა ვაზის მწვანე ნერგისა: დასავლეთ საქართველოში 2020 წლის 1 ნოემბრიდან, ხოლო აღმოსავლეთში - 2020 წლის 10 ნოემბრიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით;
- ვაზის მწვანე ნერგის შემთხვევაში 2021 წლის 1 მაისიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით;
- განსხვავებული აგროვადების შეთანხმება განხორციელდება ინდივიდუალურად სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან);

- გადახდის პირობები;
- ნერგების მწარმოებელი ქვეყანა.

ინვოისი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინვოისი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორიგინალი ან ასლი.

ინვოისი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულად და დამოწმებული ნოტარიულად.